

# ზინაური საქმეებზე

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.



№ 4.

კვირა, იანვარი 25, 1909 წ.

ფასი წლიურად — 4 მან.

ნახევარი წლით — 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეკით.

აღრმის: ქუთაისი „ზინაური საქმეების“ რედაქცია.

**ზინარსი:** ერთი აუცილებელი საჭიროება—ამბერიისა; ფიქრნი და მოგონებანი საქართველოს ეკლესიის აწმყო და ყოფილ მდგომარეობაზე (წერალი არქიმანდრ. სერგისა); ხმა სოფლის სამღვდელთა—მღვ. სპირ. ჯუღელი; გ. თანამედროვე სოციალიზმის პიონერები—ნაცარყანელისა; ილია ჭავჭავაძე (გაგრძელება)—ბომბელისა; ორი სამწუხარო ამბავი.

## რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოდგინონ 1908 წლის სექტემბერი ფასი.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

### „ზინაური საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საგარეო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ღარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

### ერთი აუცილებელი საჭიროება.

პირველ წერილში ჩვენ ვსთქვით, რომ საქართველო ადვანსით ძველი სარწმუნოებას, დაუბრუნოთ მას ის ცხოველმყოფელი ძალა, რომლითაც საქართველოს ეკლესიამ დაუფასებელი ამაგი დასდო ჩვენს ერთგუებას, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამისთვის საქართველო ვიცოდეთ ის, რის აღდგენაც კერძოდ, გაუითვალისწინოთ ის დიდი ბაზა, რომლითაც უხედა არის

დაჯილდოვებული ჩვენი სარწმუნოება. საქართველო გავაცნოთ ხალხს ჩვენი მშობლიური ეკლესიის ხასიათი, მისი ღვაწლი არა მარტო ქრისტეს ცხოველმყოფელი მოძღვრების გავრცელება—დაძვივრებაში, არამედ ქართველ ხალხის ერთგულად გაძლიერების საქმეშიც. მან შეინახა ჩვენი ერთი, სარწმუნოება ამხნევედა მას მრავალსაუკუნოების განმავლობაში აუარსებელ მტრებთან ბრძოლის დროს, აძლევდა ძალას გამოსულიყო ამ უთანასწორო ბრძოლიდან გამარჯვებულად, შეინახა მას თავისი ერთგუება. თვალსაჩინო იყო ძველი საქართველოს კულტურა, რომლის შექმნაში უძნაურესი წილი უდევს ჩვენს მშობლიურ ეკლესიას. ძველი კულტურის დავიწყება კი ხალხისათვის არ არის სასურველი. ის ხალხი, რომელსაც თავის წარსულს ისტორიულ ცხოვრებასთან კავშირი გაუწყვეტია, მოძველებულია და

ქუთაისი, 25 იანვარი 1909 წ.



არ უნდა მოელოდეს, ეოველი ხალხის აწმყო და მომავალი ცხოვრება იმის წარსულს ისტორიულ ცხოვრებაზე უნდა იეოს დამყარებული. ამხაირი აზრია ახლა დამკვიდრებული საუკეთესო ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა მეოხებით. ამასვე ამტკიცებს სხვა და სხვა ხალხთა ალორმიანების ისტორიაც.

აი რას ამბობდა ამის თაობაზე უწინდელი „დროების“ მეთაური: „არა ერთხელ შეუნიშნავთ, რომ მსოფლოდ იმ ხალხის ცხოვრება მიდის ნორმალურს, რაკიანს გზაზედ, რომელსაც თავის წარსულ ცხოვრების უკეთეს თვისებებთან ეოველი კავშირი არ მოუხნია. მეორე მხრით, შენიშნულია, რომ ხალხი, რომელსაც სრულებით ახალ გზაზე დადგომა განუხრანავს, რომელსაც თითქო მოუნდომებია თავის წარსულს ცხოვრებასთან ეოველი დამოკიდებულობის მოსწობა, — ეს ხალხი ხნეობით და მატერიალურად დავარდნილა და შემდეგ საუკუნოდ მიძინებულია“.

ბეერია ჩვენში, მეტადრე იმ ახალგაზდობაში, რომელიც ეს 10—15 წელიწადია ჰკისრულობს ხალხის წინამძღოლობას, — მის ახალ გზაზე დაუენებას, — იმხაირი ზირები, რომელნიც სრულიად უარეოფენ ისტორიას, არ ამლევენ მას არავითარ მნიშვნელობას ხალხის ცხოვრებაში. წარსულს და აწმეოს შორის ვერ ხედავენ ვერავითარ კავშირს, უკანასკნელს არ სთვლიან ზირეულის მედეკად. არ საჭიროევენ იმაში, რომ თავიანთი მომღუ-

რება შეუფარდონ იმ ისტორიულ კანონებს, რომლებმაც ხენი ხალხი მოიყვანეს ახლანდელ მდგომარეობამდის. ფიქრობენ შეამოკლონ ისტორიული პროცესი და ზირდაზირ გადმოხეგრონ ევროპაშიაც ვერ კიდევ არა სრულად დამკვიდრებული და მიღებული სწავლა და მომღვრება, მიუსედავად მისა, არის თუ არა შესაფერი ნიადაგი ჩვენში მათის განხორციელებისათვის, არ სთვლიან საჭიროდ იმ ზირობების შესწავლას, რომლებმაც წარმოამოძგეს აწმეო ჩენი მდგომარეობა, რადგან, მათის აზრით, ეს ზირობები ევროპაში უკვე დეტალურად შესწავლილია; საქართელო კი მისი ისტორიით და აწინდელ მდგომარეობით ექვემდებარება იმ საერთო განვითარების კანონს, რომელსაც ემორწილება ეველა სხვა ხალხის ისტორია და ცხოვრებაც.

ეს უკანასკნელი აზრი სანახეფროთ მანაც ეალბია. მართალია, მსგავსი ზირობებისგან წარმოსდგება მსგავსივე მედეკები, მაგრამ საქმე იმაშია, არის თუ არა ამხაირი მსგავსება იმ ზირობებში, რომლებმაც წარმოამოძგეს ერთი მხრით, განათლებული ხალხების და, მეორე, — ჩენი ერის აწინდელი მდგომარეობა? ეოველი ერის ისტორიულ ცხოვრებას თავისი ინდივიდუალური ხასიათი აქვს. ინდივიდუალობა, თავისებურობა წარმოსდგება მრავალი სხვა და სხვა ზირობებისგან. საქართელოს მიწის ნიადაგს, რომელიც წარმოადგენს მთიან, დიდ ხეობებით დასერილ ადგილებს, აქვს დიდი

ზედმოქმედება ხალხის სწავლულებს, ხანათსა და მიდრეკილების შექმნას. ამნაირი გეოგრაფიული მდებარეობა ადგილისა და ჰავა, დიდი ბაქრამის თქმით, ბევრით განასწავლებს საქართველოს სხვა ქვეყნებისაგან და მოქმედებენ ადამიანის აკრებულებას და ხანათზედ, ხალხის წესდებულებასზედ და თვით ისტორიულ მოძრაობასზედაც 1). ისტორიულ მიხედვით თავის მხრით შედგავდნენ აქვს ხალხის სწავლულებას და საზოგადოთ ხალხის ხანათზე 2). ესეც ცოტაა. ვარაუდნ ზირობებს დიდი გავლენა აქვს ხალხის კულტურულად განვითარებისათვის საზოგადოთ, და კერძოთ—მეცნიერების და აზროვნების ასეთ თუ ისეთ მიმართულების მიღებისათვის 3). ამისთვის ზოგიერთების განმარტებით, ეროვნება არის ის ჰარმონია, რომელიც დამკვიდრებულია ქვეყნის ფიზიკურ ზირობებს და მის მცხოვრებთა შორის 4).

ამნაირად ცხადია ჩვენს განუღილ ცხოვრებას სხვა ხანათით უნდა ჰქონოდნ. ჩვენი ქვეყნის ბუნება, ადგილ-მდებარეობა და ჰავა ამდგომად ჩვენს ხალხს,—იმის ხანათის, სწავლულებას და მიდრეკილებას თავისებურ ელფერს. ცივ ქვეყნების ფაქტებზე მოსახლე ხალხის და ქართველ

ერის ისტორის მიმდინარეობა აუცილებლად სხვა და სხვა უნდა ეთფილიყო. ამისთვის უნდაცაა შემო დასასწავლელი შესედულება და მოძღვრება ზოგიერთი ახალგაზღვებისა. ისტორია დიდი ძალაა; მას შესწავლა უნდა, ეს აუცილებლად საჭიროა. ეს აქსიომაა.

ჩვენი დიდებული მე XVIII საუკუნის ისტორიკოს-გეოგრაფი ვანუშტის თქმით, მატანე განამხობს კაცსა და ერთგულ ჰეოფს ქვეყანისადა. მოვეწოდებ ჰეოფს მოვეასსა მოუხისა მიმართა 1). სრული სიმართლეა.

მოვიყვანთ ამის მაგალითს ს. მესხის ერთი წერილიდან. ერთ დროს დიდებული და სწავლულებით და მქადაგებლობით განთქმული ბოჭეშია, სხვა და სხვა ისტორიული შემთხვევების წყალობით, შეთქმულსა საუკუნეში დაეცა.

1526 წლიდან ის ავსტრიამ დაიმორჩილა. მას აქეთ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე (წერილი ს. მესხისა დაწერილია 1875 წ.) ბოჭეშია თან და თან ეცემოდან; დაცემულმა ხალხმა თითქო დაივიწყა თავის ბრწყინვალე წარსული: სწავლობით დაეცა, ძველი ენერჯია, ძველი მოღვაწეობა საზოგადო სამშობლოს სამსახურისათვის აღარ სჩანდა. მაგრამ ამ საუკუნიდან დაწვებული თითქო სრულებით შეიცვალა ეს ხალხი: ბოჭეშიაში სწავლულებიც და მეცნიერნიც გამოჩნდნენ, ხალხმა თავადები გამოაჩეიტა, შექმნა მოძრაობა და მეცნიერობა საზოგადო სამშობლო

1) დ. ბაკრაძე. ქართ. ქალები. 1891 წ. ტფილ. გვ. 4.  
 2) უსლარი Др. сказанія о Кавказѣ. წიგნაკვანთა ზაგურსისა—გვ. XV. და სხვა.  
 3) ი. სიძე. გვ. 75—76 და 186 სტოლიო და Очерки по грузин. культурѣ ხანათისა გვ. 4 და სხვა.  
 4) ბარ. უსლარი. Др. сказ о Кав. გვ. 186 სტოლიო.

1) ქართ. ცხოვრება; პეტერბ. ვაშოკვილი გვ. 5.

ბლას სიკეთისათვის. ერთი სიტყვით, ესაა ეველა ისეთი ნიძნებს ჰპოულობდა ბოჭქეშიაში (ჩეხიაში), რომელნიც ხალხის სიცოცხლეს, წარმატებას და სწორ გზაზე დადგომას უზენებდა.

რა იყო ამის მიზეზი?

ამის მიზეზი ის უბრალო კარგობებია იყო, რომ ამ საუკუნის დასაწყისში ბოჭქეშიას ორი გამოჩენილი შვილი დაებდა: რიკერი და პალაცკი, რომელთაც თავიანთ ისტორიულ და ფილოლოგიურ თხზულებებით ამ თითქმის მიძინებულ ხალხს მოაკონეს თავისი, ერთ დროს ბრწეინვალე, წარსული ცხოვრება, ისტორიული მაგალითებით განაღვიძეს მათ გულში სასოგადო მამულის კეთილდღეობის სიუფარული, ცოდნის შეძენისა და საკუთარ ისტორიის შესწავლის სურვილი. და მარტო ამ მოკონებამ, ამ წარსული ცხოვრების განსწავლებამ ხალხი თითქმის სელახლად განაცოცხლა, ფეხზე წამოაყენა და თავის აწმუღზე და უკეთეს მომავალზე დააფიქრა.

განა ახლაც არ ვხედავთ ამის მაგალითს? დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ახლანდელ დაკნინებულ, დაცემულ სპარსულ ხალხს ძველი კულტურა აძლევს ძალას და სიმძნეს ასე მედგრად და ხანგრძლივ ყრმობლოს უსამართლობას.

ერთი იაპონელი დოქტორი ნიტობე სწერდა, რომ იაპონიამ არა კრუპის ხარბახნებით და შიძობას თოფის წამლით გაიმარჯვა, არამედ ეს გამარჯვება მოკვანძვა განათლებამ და წინაპართა

სულმა, რომელიც გულს გვიძნევენს, მკლავს გვიძგრებსო. მართლაც იაპონიამ ძველებურ თავის კულტურას თანამედროვე ევროპული განათლება შეუერთა, მაგრამ ამით მან არ უდალატა ძველის ძველ იაპონურ სწავლობრივ იდეალი სადმი მისწრაფებასა და ამან კიდევაც უძღვნა მას დიდებული გამარჯვება. ინგლისელ ემერსონს უთქვამს, რომ ჰორტ-არტური უჯარობამ კი არა, დამცველთა სულიერმა სისუსტემ დასცა, რომელსაც აქეთ-იქიდან მოგროვილი და შეიარაღებული ბრბო კი არა, შეგნებული მამულიძვილნი ებრძოდნენ თანამედროვე ცოდნით და ძველებურ საკუთარი კულტურით აღჭურვილნი. ძველი იაპონური კულტურა გამარჯვებას სამშობლოს სიუფარულით და რაინდული ვაჟკაცობით დაეხმარა“<sup>1)</sup>.

ამაირი დიადი მნიშვნელობა აქვს ძველი კულტურის განსწავლება-გათვადისწინებას. კეთილად მოსაგონებელი მოვლენა, როგორც ამბობდა უწინდელი „დროება“ (1875 წ.), ჩვენ ისტორიულ ცხოვრებაში საკმაოდ უოფილა; საკმაოდ არიან ისეთი ჰირნი, რომელთა თავგანწირული მოქმედება სამაგალითოდ უნდა დარჩენილიყო შთამომავლობისათვის, საკმაოდ არიან ისეთი საქმენი, რომელთაც განსწავლება თანამედროვე საქართველოს შვილს უნაყოფოდ არ ჩაუვლიდა. მათი მოკონება ახლანდელ ქართველებს გაგვაძნევენს, გაგვაკეთილშობილებს. სწორ გზაზე დად-

1) ვახ. „იურია“ 1905 წ. № 72.

კომისიის მოგვეხმარება. საუბედუროთ ვეკლავ ამას ჩვენ ზურგს ვაქცევთ. თუ რას-მე ახალს ვითოიხებთ, ამას ჩვენ არ უერთებთ მშობლიურ ძველ კულტურის ცოდნას, არ ვამღვეთ ამ ახალ შექმნილ ცოდნას ეროვნულ ელფერს. „წინაპართა სული“ არ გვაძნევენს. და აი, ამისთვის „იპერიის“ (1905 წ. № 79) თქმის არ იუოს, ვეკლავ „თავში გვიფანუნებს, ვისაც არ ესარება“.

ესევე უნდა ითქვას ჩვენ საეკლესიო ისტორიაზედაც, მასთან კავშირის გაწვევითა სასარალოა. „ვეკლავ ხალხის ცხოვრებაში სამღვდელთა დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ჩვენი ხალხის საერო ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია საეკლესიო ისტორიასთან. სამღვდლო ზირნი ივენენ ჩვენში ძველად უბედურების დროს ხალხის მანუგებელნი, ლიტერატურის გამამდიდრებელნი და ხშირად ომში წინამძღოლნი. ამათი წყალობით დაცულია დღეს ჩვენში დიდებული სარწმუნოება ქრისტიანი და ამ სარწმუნოების დასაცვლად ხალხი თავის სამშობლოსაც იცავდა“ (ს. ძესნის სიტყვებია). ნუ თუ ღირსი არ არის ამნაირი საეკლესიო ისტორია ეურადღებისა?! ნუ თუ არ უნდა ვუძიოთ მასში მისაბაძი მაგალითები? ნუ თუ დაუღალავი, ხალხისათვის თავდადებული სამღვდლო ზირთა მაგალითები არ არიან ღირსნი მოგონებისა?! ნუ თუ ისტორია იმ სარწმუნოებისა, ეკლესიისა, რომელიც თავის დაცვასთან ქართულთა ეროვნებას და მის მიწა-წყალსაც იცავდა,


არ აღუძრავს ხალხს ამნაირ სარწმუნოებისადმი სიმზატიას?

ვიძეორებ ხალხის თანაგრძობის დამსახურებისათვის, ხალხის თვალში მშობლიურ ეკლესიის, — ქრისტეს მოძღვრებაზე დამყარებულ სარწმუნოების ასამაღლებლად, მისი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საჭიროა დრო გამოშვებით ბასი საქართველოს ეკლესიის წარსულ საუკუნეების ისტორიიდან. სასურველია ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოჩინდეს ვინმე ნიჭიერი, ისტორიის მცოდნე, გაპარჯიშებული კაღმის პატრონი მწერალი. ამით ცოტათი მანც მოეფინებოდა ხალხში ნამდვილი წარმოდგენა ჩვენის ეკლესიის მნიშვნელობისა წარსულ საუკუნეებში, სამღვდლოების თავგანწირულ მოღვაწეობისა, — იმ ხალხში, რომელსაც სამღვდლოება წარსულშიაც წარმოუდგენია ისეთივე უბადრუკად დაცემულ-ჩამოქვეითებულად, როგორც აწმეო დროებში ჰხედავს და ვერ წარმოუდგენია, მომავალშიც შეეძლოს ამნაირ სამღვდლოებას, იუოს ხალხის ნამდვილი მოჭირნახულე მამა, მისთვის თავდადებული.


როდესაც ამნაირი მწერალი გამოუჩნდება ჩვენს ძველ საეკლესიო ისტორიას, მაშინ დარწმუნებული ვარ თავის თავად დაირღვევა ის ბრალდებაც, რომელიც გაზ. „დროებამ“ უძღვნა ჩვენს სამღვდლოებას; — ბრალდება, — რომ ვითომ „ქართველმა სამღვდლოებამ თავის სა-

კუთარ მშობლურ ნიდაგსე აღსდელი სულიერი კულტურა სინოდისაგან ნაბრძანებ რიტუალებში ჩაგდოა“. სანამ გამოხდებოდეს ამნაირი მწერალი, ნებას ვითხოვ „შინაური საქმიანობის“ რედაქციისაგან დრო გამოშვებით მიიღოს ჩემგან შემოსვენებული შინაარსის წერილები.

ამ ნებართვის აღება საქროთ ვსცანი, სსუათა შორის, იმ უბნალო მიხეზისა გამო, რომ პატრიარქული ქუჩის უკანასკნელ ნაბეჭდო ბროგრაფიდან არა სჩანს, რომ რედაქციას თვლიდეს საქროდ ისტორიულ შინაარსის წერილებიც ბეჭდოს.



ამერი.



**ფიქანი და მოგონებანი საქართველოს მკალმის აფხუ და ჟოჟილ მღოგაკოგაჟე.**

(საქართველოში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბების გამო).

(წერილი არქიმანდრ. სერგისა\*)

მე ცოცხლად მახსოვს მისი მეუფების თფლისში შემოსვლის გარემოება, საქართველოს სამღვდლოებამ ჯერ კიდევ პეტერბურგში გაუგზავნა მას მოთხოვნა არ წამოსულიყო საქარ-

\* იბ. „შინ. საქ.“ № 3.

თველოში, რადგანაც მასში ხედავდა უზურპატორს და არა კანონურ მღვდელმთავარს. თვით მისი მეუფების მოსვლის წინ ქალაქში ხმები დადიოდა თავდასხმის შესახებ. ამის შესახებ მისი მეუფება გააფრთხილა თვით ენარდარმის პოლკოვნიკმა ბაქოს სადგურზე, რომელსაც (პოლკოვნიკს) ეს ცნობები თავის აგენტებიდან ჰქონდა შეტყობილი. მისი მოსვლის დღეს თბილისი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. ყველა ქუჩები, რომლებზედაც უნდა გაეგლო მის მეუფებას, ეკავა ჯარს, სომხის ბაზარში დარაჯ სალდათებს ბანები ეკავათ, სადგურზე ამართული იყვნენ ბარიკადები, რომლებიც აკავებდენ გარეშე ხალხს. შიშით შევიკრიბეთ ჩვენ, მკირედი წმრმომადგენლნი რუსის სამღვდლოებისა, და ოფიციალური პირები სადგურის სადღესასწაულო დარბაზში. მოვიდა მატარებელიც და ჩვენ დავინახავთ დიდებული და ვაჟკაცი ნაკვთი ჩვენი ახალი მღვდელმთავრისა. ჩვეულებრივი მიგებებისა და მილოცვის შემდეგ, მისი მეუფება, ნამესტნიკის კონგოით თანხლებული, გაემართა სიონის საკრებულო ტაძრისაკენ. იქაც სალდათები იყვნენ, ოფიციალური პირები, რამდენიმე ათი მლოცველი რუსი, ხოლო ქართველთაგან სულ არავინ. უეჭველია, არასოდეს მღვდელთავარი ჯერ ასე არ შესულა თავის სამწყსოში. თავის მართვა გამგეობის პირველი ნაბიჯიდანვე ახალმა მღვდელთავარმა გამოიჩინა შესანიშნავი ტაქტიკა ბრძნული შორს მხედველობა. ის არ შეუფრთხა საქართველოს სამღვდლოების მიერ დემონსტრაციულად გამოცხადებულ ბოიკოტს, რომელსაც (სამღვდლოებას) მონაწილეობა არ მიუღია შეგებებაში, გარდა საკუთარ—კრებულისა და კონტორის წევრებისა. მისმა მეუფებამ ისე დააყენა საქმე, რომ ვითომ ვერც კი ამჩნევდა ბოიკოტს და არაფერი იცოდა მის არსებობაზე. მის ჩამოსვლის კვირე ნახევრის შემდეგ დიდუბის ტაძრის დღესასწაული იყო (8 ეკენისთვის). მიუხედავად სამოქალაქო წესების გაფრთხილებისა, მისმა მეუფებამ დანიშნა იქ თავის წირვა. წირვამ მშვიდობიანად ჩაიარა და მასში ძალია უნებურად მიიღო მონაწილეობა ადგილობრივმა ქართველმა სამღვდ-

ლოებად. ასეთ გზას ადგამისი მეუფეება კონტო-  
რის საქმეებში და ც. გასვენებულ ექსარხოსის  
სიბრძნით, სიმშვიდით და სიმტკიცით ძღვეულ-  
მა ქართველმა სამღვდლოებამ 1906 წლის  
ოქტომბრის თვეში დაადგინა მოხსნას ბოიკო-  
ტი და იქონიოს მასთან ადამიანისტრატული  
სამსახურის შესახები დამოკიდებულება, რად-  
გან მას არ სცნობდნენ კანონიერ მღვდელ-  
მთავრად. თავის ექსარხოსობის უფლებათაგან  
არაფერს უთმობდა მისი მეუფეება, მაგრამ ამას-  
თანავე თავიდანვე შესანიშნავი ინტერესი გა-  
მოიჩინა ქართველ ხალხისა და ეკლესიისადმი.  
მან მაშინვე მოითხოვა და წაიღო სემინარიის  
ბიბლიოთეკიდან წიგნები საქართველოს საეკ-  
ლესიო და სამოქალაქო ისტორიისა, სხვა და  
სხვა რუკები და ატლასები, ხოლო მე მომან-  
დომომეპოვებია მისთვის ქართველი სახელ-მძღვა-  
ნელო და მესწავლებია ქართული კითხვა, რაც  
მე უკვე შემძლო მექნა, რადგან რამოდენიმე  
თვით წინ მოსული ვიყავ ექსარხოზე (?!).  
მთელ მის შემდეგ მოქმედებას ვტყობოდა იგი-  
ვე ღრმა ინტერესი საქართველოს ეკლესიის-  
ადმი და მამობრივი მზრუნველობა მის საქი-  
როებაზე. მისი შუამდგომლობით უ სინოდმა  
საგარეოებლად დიდი თანხა გადასდვა ქართულ  
ბიბლიის შესასწორებლად და დასაბეჭდად, საეკ-  
ლესიო წიგნების დასაბეჭდად და ძველ საუნ-  
ჯის მცხეთის ტაძრის გასაახლებლად. თავის  
მოწამებრივ სიკვდილის სამი დღის წინ მოი-  
არა მარტყოფის მონასტერი და შეადგინა გეგ-  
მა მისი განახლებისა.

საზიზღარმა მკვლევებმა მოჰკვეთეს მკა-  
ვალნაყოფიერი მოღვაწეობა მ. ყ. უ. ნიკონისა,  
მრავალი კეთილი განზრახულები შესახებ სა-  
ქართველოს ეკლესიისა ჩაიტანა უდროვო სა-  
ფლაგში. დაე ახსოვდეს საქართველოს როგო-  
რი მღვდელმთავარი დაეკარგა. ბოიკოტით დამ-  
ხდურმა, ეხლა მიიწე ღირსეულად დააფასოს  
მან და სცნოს მისი თვალსაჩინო სამსახური,  
დაე, ცრემლით განბანოს თავის წინანდელი  
უგულვებელ-ყოფა მისადმი! რად-ნაც მ. ყ. უ.  
ნიკონის მკვლევების თაობაზე გამოძიება ჯერ  
კიდევ არ დამთავრებულა, და ყოველი გარე-

მოება ამ მკვლევლობის შესახებ საიდუმლოე-  
ბითაა გარემოცული, ძნელი სათქმელია: რომელ  
ნიადაგზე აღმოცენდა ეს შემადრუწუნებელი  
და რუსეთში არ გაგონილი ბოროტმოქმედება.  
პირადი შურისძიების საქმე იყო ეს, თუ პო-  
ლიტიკური ხასიათი ჰქონდა? ყოველ შემთვე-  
ვაში, ზემო აღწერილი გარემონბანი, რომელ-  
თაც წინაუსწვრეს მ. ყ. უ. ნიკონის შემოს-  
ვლას, ცოტა არ იყოს ბრალდების ჩრდილ  
ქვეშ აყენებენ ავტოკეფალურ მოძრაობას. ამი-  
ტომ საქართველოს ავტოკეფალობის საკითხი  
ხელ ახლა აინტერესებს საზოგადოებასაც და  
პრესასაც. ამ საკითხის შესახებ მე მსურს გავუ-  
ზიარო მკითხველებს ჩემი აზრები, რომელნიც  
მე გამოვიტანე ჩემის ორი წლის თანამედრო-  
ვე საქართველოს ეკლესიის ცნოვრების პირა-  
დი დაკვირვებით და კანხილვით.

1906—7 წლებში საქართველოს ეკლესი-  
ის ავტოკეფალობის საკითხი ირკვეოდა უმ-  
თავრესად ისტორიულად. საქართველოს ეკ-  
ლესიის ავტოკეფალურ უფლებათა დამცვე-  
ლები სხვა და სხვა ძველი გუჯრებით ამტკი-  
ცებენ, რომ საქართველოს ეკლესია ავტო-  
კეფალური იყო და ამ საბუთით თხოულობ-  
დენ მის აღდგინებას. მოწინააღმდეგე მხარეც  
ისტორიული საბუთებით ამტკიცებდა, რომ სა-  
ქართველოს ეკლესია დამოკიდებული იყო  
ანტიოქიის ეკლესიისაგან და არასოდეს ავტო-  
კეფალური არ ყოფილაო, და ამიტომ მის ავ-  
ტოკეფალურ მოთხოვნას კანონიერი ნიადაგი  
არა აქვს. მაგრამ ავტოკეფალობის საკითხის ამ  
ნაირი დაყენება არ შეგვიძლია აღვიაროთ კა-  
ნონიერად. ვსთქვათ რომ, საქართველოს ეკ-  
ლესიას თავის დღეში არ ჰქონია სრული ავ-  
ტოკეფალობა; აქედგან სრულებით ის არ გა-  
მოდის, რომ არც შეიძლება ექნეს. ძველი სა-  
ეკლესიო კანონებისამებრ თითველ ადვილო-  
ბრივ ეკლესიას შეუძლია გახდეს ავტოკეფა-  
ლური, და ჩვენ ვიცით ძველი საეკლესიო  
პრაქტიკიდან, რომ ავტოკეფალია ეძლეოდა  
ძალიან ადვილად არა თუ მხოლოდ მსოფლიო  
კრებებისგან, არამედ პირადად იმპერატორე-  
ბისაგან; მაგ. იმპ. იუსტინიანე დიდმა უბოძა  
ავტოკეფალობა ზოგიერთ ეკლესიებს, კერძო

ეპისკოპოსებსაც კი ეძლეოდათ პირადი ავტოკეფალობა რომელიმე საჩინო საეკლესიო მოქმედებისათვის—მაგ. გრიგორი ნისელს, ვასილი დიდის ძმას; ხოლო სინას მონასტრის წინამძღვარი დღემდის სარგებლობს პირად ავტოკეფალურ უფლებებით და უნეტარესის სახელით. ამ ნაირად კანონიკურად არაფერი წინააღმდეგი არ არის, რომ საქარ. ეკლესიას ავტოკეფალობა მიეცეს, თუნდაც რომ სულ არ ქონდეს ეს მანამდის. ამისთვის მე სრულიად მეტი მგონია ლახვრების მტრევეა საკითხზე: იყო თუ არა საქართველოს ეკლესია ნამდვილ ავტოკეფალური. უფრო კანონიერი იქნება ეს საკითხი ისტორიულ ნიადაგიდან პრაქტიკულ ნიადაგზე გადავიტანოთ და მის გადასაწყვეტად მივიღოთ მხედველობაში სხვა პრაქტიკული საკითხები, სახელდობრ: იქნება თუ არა ავტოკეფალობა ნიმდვილ სასარგებლო საქართველოს ეკლესიისათვის? გამოდგება იგი თუ არა იმ სარწმუნოებრივ ინდეფერენტობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს ქართველთა შორის, ან შეიძლება, იგი უმეტესად დასცემს კეთილწესიერებას, ან შეიქნება მიზეზად უცხო სარწმუნოების მიღებისა? აი ამ საკითხს უნდა ჩაუფიქრდენ ჯერ თავგამოდებულნი შემკრებნი ავტოკეფალიისა, რომლებსაც ეძვირფასებათ თავის სამშობლო ეკლესიის ინტერესები, და მერმე რუსეთის საეკლესიო მმართველობა. საქართველოს შემოკრებების შემდეგ 1801 წ. რუსეთის ეკლესიამ მიიღო თავის თავზე მზრუნველობა ივერიის ეკლესიის ინტერესებზე და საჭიროებაზე. ამიტომ იგი მოვალე იქნება იმ ცუდ შედეგებში, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს ავტოკეფალობის აღდგენას. რა თქმა უნდა, თუ იქნება უეჭველი და სრულიად დამტკიცებული, რომ 1) ავტოკეფალურ მოძრაობას არ უდევს პოლიტიკური საჩუქი, დაწყებულია ნამდვილ სარწმუნოების მოშურნეებისაგან და არა პოლიტიკურ ინტრიგანებისა და ავანტიურებისაგან, რომ 2) ავტოკეფალური მართვა-გამგეობა გამოიწვევს ხალხში კეთილწესიერების აღორძინებას, მის სულიერ განათლების გამრავლებას და არა მათ დაცემას, მაშინ ავტოკეფალობა ყოველის მიზეზის გარეშე მიეცემა და უნდა მიეცეს კიდევ.

მაგრამ შესაძლებელია ზემო აღნიშნული მუხლები უცილობლად დამტკიცდეს? განა სამწუხარო სინამდვილე სულ სხვას არ მოწმობს? მართლაც, როგორც თვით ქართველი სამღვდლოება აღიარებს, ხალხში კეთილწესიერება უმაღლეს ხარისხამდეა დაცემული. ქართული ეკლესიები ცარიელები არიან დიდდესასწაულებშიდაც კი, მათი შემოსავალი ნოლამდის დაეცა. დასასურათებლად შემოძლია ასეთი ფაქტო მოვიგონო. 1905 წ. სიონის საკრებულო ტაძარში ქართველი სამღვდლოების მოთხოვნის თანხმად ყოველ დღიური ღვთის მსახურება შემოდებულ იქნა ქართულ ენაზე, მაგრამ მალე იგივე სამღვდლოება თავისთავად იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია ქართული წირვა ლოცვისათვის და ისევ სლავიანურად შემოეღო, და მხოლოდ კვირაუქმ დღეებში შეესრულებია ქართულად, რადგან წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შემოდებიდანვე რუს მლოცველებმა თავი დაანებეს ეკლესიაში სიარულს და უკანასკნელი ცარიელი დარჩა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მოხდა საქართველოს ეკლესიის ძველ საუნჯეში—სიონის საკრებულო ტაძარში, სადაც ასვენია ნინას სასწაულთ მოქმედი ჯვარი, მისივე თმით შეკრული. ასეთივე შემთხვევა მოხდა სოხუმის ეპისკოპოსის კარის ეკლესიაში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნით შემოდებულ იქნა სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე, მაგრამ რამოდენიმე კვირის შემდეგ მსმენელი აღარავინ იყო და ღვთის მსახურება ამ ენაზე თავის თავად მოისპო. განა რას ლაპარაკობენ მაგ. ასეთი ფაქტები? 1905 წ. რევოლიუციონურ ცხარე მოძრაობის დროს ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლების მცხოვრებთ სრულიად შესწყვიტეს ყოველგვარი დამოკიდებულება და ერთობა ეკლესიასთან ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებშიც კი, როგორც არის გასვენება მიცვალებულისა, რომელსაც ხატისა და ჯვარის მაგიერ კარლ მაქსის სურათს მიუსვენებდნენ წინ. ისეთი შემთხვევაც იყო, რომ კრებებზე მრევლი ბოიკოტს უცხადებდა თავის მოძღვარს და უარს ეუბნებოდა ყოველგვარ სამღვდლო მოქმედო საჩუქრებზე და

დადებულ გადასახადზე, ხოლო მთელი საბლა-  
ლოჩინო სამღვდლოება თავის მხრით ინტერ-  
დიქტს სდებდა თავის სამწყსოს და არ უშვებ-  
და ტაძრებში. ყველა ეს ჭორებად მოგეჩვენე-  
ბათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნანდვილი ფაქტე-  
ბია, დამოწმებული ადგილობრივ პრესით და  
ცოცხალთ მოწმებით.

(შემდეგი იქნება).



**ხვა სოფლის სამღვდლოებისა.**

მ. რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე შე-  
ნიშვნას, რომელიც გამოიწყვია ბ. უკიდურე-  
სის მე-14 ნომერში მოთავსებულმა სტატიამ,  
ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გამოცე-  
მაში. ყოვლად სამღვდლო გაბრიელმა დიდი  
შრომა და ღვაწლი დადვა. ქუთ. სასულ. სე-  
მინარიის გახსნის შესახებ. მისი განკარგულე-  
ბით იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდ-  
ლოებამ ვვვ ათასი მანეთი გადასდო ჯამაგი-  
რიდგან სემინარიის შენობის ასაგებად. მიიღო  
თუ არა უარი სემინარიის გახსნის შესახებ,  
ყოვლად სამღვდლომ დაიბარა კრება და გა-  
მოუცხადა თუ რა უყოთ ამ ფულს, რომელიც  
სემინარიისათვის იყო გადადებულიო კრებამ  
ერთბაშათ სთქვა: დავირიგოთ ჩვენ ჩვენი რაც  
გვერგებო; მე კი განვაცხადე: მოდი ძმებო,  
ასე ნუ ვიქთ, ეს ფული ხომ ჩვენი ჯიბიდან  
არის ამოსული, —ნუღარ ჩაფუშვებთ ჯიბეში  
თორემ მერმეთ ამის ამოღება და რათმე კეთი-  
ლი საქმისათვის მოხმარება მოუხერხებელი შეიქ-  
ნებათქო, აი ამითი რა დავაწესოთ: ვთხოვოთ ყო-  
ლად სამღვდლოს, დაეარსოთ კასია (როგორც  
ბ. უკიდურესი ამბობს), ახალგაზრდა მღვდ. ან  
შედავითნე დასწულდეს და ან გარდაიცვა-  
ლოს თვით სწულს და მის ოჯახობას დაენი-  
შნოს წლიურათ იმდენი რაოდენსაც ჩვენ, კრე-  
ბა დავადგენთ და მიეცეს ამ ფულის სარგებ-  
ლიდამ და თავნი-თავნათ გვექნება თქო. მომ-  
ცვინდა მაშინდელი დეპუტატები, კინაღამ დამა-  
რჩევს, ნამეტურ სამმა: მ. ი. ს. ლ. ჩ. და ე.  
ბ. შენ ჭამის მადა დაგკარგვია, თუ შენ არ  
გინდა ეგ ფული, აიღე, შე დალოცვილო, და

ჩვენ მოგვეციო. ეს დეპუტატები ნეტავი და-  
რიბები მაინც ყოფილიყვნენ! მაგრამ სხვისი  
მწუხარება ჩირად მიაჩნდათ მაშინ და ვგრძნობ  
ეხლაც.

ამისთანა შემთხვევისთვის ესტიროდი და  
ვიბრძოდი მე საწყალი, როგორიც შემთხვევია  
საწყალს ჩვენს მოძმეს მღვ ი. ჭუმბურიძეს  
რომელსაც მე არ ვიცნობ; მე მეშინოდა ვაი  
თუ პენსია ვერ დავიმსახურო, მეც და ჩემ  
ცოლშვილსაც შიმშილით სული ამოგვხდებო-  
თქო.

ეხლა დამიგდეთ ყური, ბატონო მკითხველნო!  
როგორ მოვიხმარეთ ეს ფული? პატიოსნებას  
გეფიცებით კაპიკი ქუთაისიდან არც მღვდელს  
და არც მედავითნეს არ გამოყოლია და ეს კე-  
თილი საქმე კი სამუდამოთ დაგვეკარგა, რო-  
მელსაც სწუხს ბ. უკიდურესი. ამის შესახებ  
ჩემი აზრი ეს არის! ეს ყველამ უნდა ვიცო-  
დეთ, რომ მარტო მ. ჭუმბურიძე და ცინცაძე  
არც მოკვდება და არც დასწულდება, ჩვენც  
ამ შემთხვევას უნდა მოველოდეთ, გარდაც.  
მღვდ. ცინცაძის ქვრივს შეეწუხებია ყოვლად  
სამღვდლო და ამის მოწერილობის ძალით ძლივეს-  
ძლივობით და დიდის გაჭირვებით კრებულ-  
მა გამოვიმეტეთ თითო მანეთი. ეს არის ქრი-  
სტიანობა! ვალდებული ვართ, უნდა დავაწე-  
სოთ იმისთანა რაღაცა, რომ ახალგაზრდა და  
პენსია დაუმსახურებულმა სამღვდლო და საეკ-  
კლესიო მოსამსახურებმა და მათმა ოჯახო-  
ბამ ისაზრდოს და შიმშილით არ დაიხოცნენ  
გაჭირვების დროს.

მე თვით ამ სტრიქონების დამწერი პენ-  
სია დამსახურებული ვარ, თუ შტატში ვიქე-  
ნი—მე შემოსავალი შემინახავს, თუ ამ სამსახურს  
თავი დავანებე, მაშინ პენსია მომეცემა და  
ამით უზრუნველ ვყოფ ჩემს თავს და ოჯახს.  
ხოლო რა ჰქმნას ახალგაზრდა პენსია დაუმსა-  
ხურებელმა?.

მე დიდი მადლობელი ვარ ბ. უკიდურე-  
სის რომ ამისთანა კეთილ საქმეს გვიჩვენეს და  
ვევენ სამღვდლოება რას ვშვრებით? ტყვილა  
ვკითხულობთ მაცხოვრის სიტყვებს: მშინ-  
ერი ვიყავ, მწყუროდა, საპყრობილესა შინა,  
სწულ ვიყავ, და სხვა. ამას ასრულება უნდა!

იმედია, ჩემი თანა-მოძმეები არ დამძრახავენ მცირე რჩევისთვის. ზურგი მივსცეთ ერთმანეთს და მივანდოთ მომავალ კრებას, დაგვიარსოს იმისთანა რამ, რომ პენსია დაუმსახურებელთ თვით ოჯახსაც შემწეობა აღმოუჩინოს.

ბ. რედაქტორო! გაახლებთ ერთ მანეთს, გთხოვთ გარდასცეთ სწეულებისგან დაჩაგრულს მოძმეს შ. ი. ჭუმბურიძეს, მინამ რამე დაწესდებოდეს მანემდი ყოველ წელს მოელოდეს ჩემდგან მანეთს, მაგრამ ეს რას იქს?

მღვდ. სპირ. ჯუღელი

ვისაც გათვალისწინებული აქვს წუთისოფლის სიმუხთლედ და ცვალებადობა, ყველა დაეთანხმება მაშა ჯუღელს და უკიდურესს, რომ საქირთა საერთო ძალით ვებრძოლოთ სიკვდილისა და სწეულებისგან გამოწვეულ შიმშილობას და შიშველობას. მაცხოვარს და მის მოციქულებს მცირე შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაღაც კასასავით ჰქონდათ დაარსებული, საიდგანაც ეწეოდენ გლახაკებს. იმედი გვაქვს, მ. ჯუღელის მაგალითს ბევრი წაბაძავს და შემწეობას აღმოუჩენს უღმობელი სენისაგან უდროვოდ დავრდომილ მოძმეს და მის ოჯახობას. რედაქცია დიდის სიამოვნებით მიიღებს ყოველგვარ შემწეობას და გადასცემს დანიშნულებისამებრ.

რედ.

**ბ. თანამედროვე სოციალიზმის პიონერები\*).**

1. თანამედროვე სოციალიზმი თავას წინამორბედისგან განირჩევა მითი, რომ წარმოადგენს გაგრძელებულს მოვლენას და ჩვენ გვხვდება იგი ყველა კულტურულ ქვეყნებში მალლად განვითარებული ინდუსტრიით. მხოლოდ ერთი ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა რომელიმე შემთხვევით მოვლენასთან, რომელიც არსებობს ხელოვნური აგიტაციის და პროპაგანდის გამო, არამედ იმისთანა მოვლენასთან, რომელსაც

\* იხ. ზინ. საქ. № 3.

აქვს ფესვები და კარგი ნიადაგი საზოგადოების მდგომარეობაში.

თანამედროვე სოციალიზმის ფესვები არიან, პირველად ყოვლისა, XVIII საუკუნის ბოლოდან განვითარებულს წარმოების საინდუსტრიო ტენიკაში და იმაზე დამყარებულს საზოგადოებრივს დამოკიდებულებაში. უეჭველია, კეზილი შედეგები მოჰყვა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ ტენიკურ პროგრესთან და ვაჭრობაში და მრეწველობაში მომხდარ ცვლილებასთან შეთანხმებით, მოხდა განთავისუფლება ყველა საწარმოვო ძალეებისა თავისუფალი კონკურენციის გამო. მაგრამ, ამასთანვე, ამან გამოიწვია საშიში გაყოფა საზოგადოებისა ორ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასად: შედარებით მცირე რიცხვოვან მდიდარ კაპიტალისტებად და დაჭირავებულ მუშათა უშველებელ მასსად—მოვლენა, რომელსაც ახასიათებენ, როგორც წინააღმდეგობას შრომის და კაპიტალის შორის. ფრიად გამრავლებული, სამშობლოს მოკლებული ქალაქის პროლეტარიატი აუცილებელი დამატება ინდუსტრიისა, რომელიც საქმეში მანქანების ხმარების გამო, სრულიად შეუძლებლად ჰყოფს თავისუფალ ხელოსანთა არსებობას; ძალიან ემუქრება საშუალო კლასს და ხელს უწყობს არა თავისუფალს, კაპიტალზე დამოკიდებულს მუშათა მასის კონცენტრაციას.

დიდად ხელს უწყობს სოციალიზმს მანქანების და ფაბრიკების მფლობელთა მოპყრობა მუშებისა. ბევრი კაპიტალისტები სარგებლობენ შეუზღუდველი ეკონომიური თავისუფლებით და თავისი გაუმძღრობის გამო, სჩაგრვენ მუშებს. რასაკვირველია გვხვდება საქებიური გამონაკლიც, მაგრამ საუბედუროდ, მხოლოდ გამონაკლი. კარლ მარქსმა და ფრ. ენგელსმა ოფიციალური ცნობების საფუძველზე სტატისტიკური გამოკვლევით დაამტკიცეს უკიდურესი ხარისხი სიღატაკისა, რომლამდინაც მიუყვანიათ უმრავლესობა ცოლშვილიანი მუშებისა ინგლისში მუშაობის მიმცემთა, უსახლოვრო დაჩაგრვის გამო. სულ მცირე ქირაში მუშები ვალდებულები იყვნენ ემუშავნათ 15—16 საათი დღე-ღამეში, არაფერი უკრად-

ლება არ იყო მიქცეული მათს სისაღზე, ღამის დასვენებაც კი არ იყო მათთვის უზრუნველყოფილი; ბავშვები 6—12 წლამდე უფრო მცირე ხელფასში მუშაობდნენ მაშინებთან. ერთი სიტყვით, მუშათა მდგომარეობა სამწუხარო იყო. ბევრით უკეთესად არც სხვა ქვეყნებში იყო დაყენებული საქმე.

პროლეტარიატის გამრავლებასთან ერთად მიდიოდა გაზრდა ოჯახისა, გავრცელება ლოთობისა და გარყვნილობისა. გარდა ამისა, მაღალ კლასთა მეოხებით, სიმრავლე მცხოვრებთა გარემოცული იყო მატერიალიზმით და განცხრომის სურვილით, ხოლო ბნელი გზით გამდიდრებული ბურჟუაზია აშკარად ეძიებდა უგუნურს მდიდრულს ცხოვრებას. მისახდომია მიტომ, რომ საკმარი იყო მარტო ნაპერწკალი, რომ უკმაყოფილოთა დაფარული გაბოროტება მალე გადაქცეულიყო მტრობის ალად.

ამას ემატება კიდევ ერთი ძლიერი ფაქტორი—ყველა კაცთა თანასწორობა, რომელიც რუსოსს მეოხებით ძალიან გავრცელდა. ყველანი ბუნებით თავისუფალნი და თანასწორნი არიან, ამბობდა საფრანგეთის რევოლიუციის ფილოსოფია, მაგრამ კერძო საკუთრების არსებობის გამო გაჩნდა და განმტკიცდა უთანასწორობა კაცთა შორის; ამგვარ აზრთა გავრცელების გამო კერძო საკუთრება იცნეს უსამართლოებად; მაშინ მსჯელობდნენ ასრე: სახელმწიფომ დაამტკიცა კერძო საკუთრება, მასვე უფლება აქვს გადააგდოს კიდევ იგი. სახელმწიფო გაჩნდა მხოლოდ საზოგადო ხელშეკრულობის გამო, ნამდვილი მფლობელი ხალხია, მიზანი სახელმწიფოსი არის თავისუფლება და თანასწორობა ყველასიო.

საფრანგეთის რევოლიუციის დროს, რომლითაც სულ ახალი ხანა იწყება ისტორიაში, დროშით, რომელზედაც ეწერა სიტყვები: „თავისუფლება“, „თანასწორობა“, „ძმობა“, გამოდის საბრძოლველად მესამე წოდება და სწრაფად იძენს ძალას და მნიშვნელობას; მალე საწინააღმდეგოდ ამისა, გამოდის მეოთხე წოდება, წოდება არაფრის მქონეთა, პროლეტართა. „ძმობას“ თავიდანვე ჰქონდა აზრი ღამაში სიტყვისა, „თავისუფლება“ და „თანასწო-

რობა“ პოლიტიკურს ნიდაგზე მართლაც იყო, მაგრამ მცხოვრებთა შორის ის იყო თავისუფლება და თანასწორობა სილატაკისა. თუმცა წარმოება, რომელმაც კვალად მიიღო თავისუფლება, ძალიან განვითარდა, მაგრამ ბევრს მაინც კი უჭირდა. მათთვის არ იყო საკმარი სამუშაო და მაშასადამე პურიც. აი სწორედ ამ სილატაკეს მიმართავს თანამედროვე სოციალიზმი; კაპიტალის მონოპოლიის მოსპობით, მას სურს გაათავისუფლოს პროლეტარიატი უმცირესობის უფლებიდან. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სოციალიზმის აკვანთანვე გაისმის ძახილი: „საკუთრება ქურდობაა“ \*), ძახილი, რომელიც ნახევარ საუკუნით გვიან გაიმეორეს პრუდონმა და ლასალმა და გადისროლეს მასსაში, როგორც მაშხალა ცეცხლის მოსაკიდებლად.

2. პირველი, რომელიც გამოვიდა თანამედროვე სოციალიზმის დროშით, იყო ფრანც ნოელ ბაბევი, ანუ როგორც მას დაარქვეს რევოლიუციის დროიდან, გრაჰს ბაბევი (1760—1796); ის გამოდის ყველას თანასწორობის აზრიდან; მის თხუზულებას, როსელიც გამოვიდა 1793 წელს, სათაურ ფურცელზე აწერია დევიზი: „საზოგადოების მიზანია საყოველთაო ბედნიერება“, „ყველანი ბუნების და კანონის წინაშე თანასწორნი არიან“. მაგრამ ეს ბედნიერება და თანასწორობა ბევრისთვის მხოლოდ ქაღალდზე იყო, რის მიზეზიც არის კერძო საკუთრება. ეკონომიური მხრივ თანასწორობის განსახორციელებლად ბაბევი წარმოადგენს შემდეგს მოთხოვნებს: ყველასთვის სავალდებულო შრომა, კანონით დადგენილი სიგრძე სამუშაო დღისა, ხალხისგან ამორჩეული უმაღლესი სამმართველო თვალყურს ადევნებს წარმოებას; განაწილება სავალდებულო სამუშაოთა ყველა მოქალაქეთა შორის, უსიამოვნო სამუშაოს ასრულება ოლქის ყველა მოქალაქეთაგან, უფლება ყველა მოქალაქეებისა სიამოვნებაზე და განაწილება სიამოვნებათა ცალკე წევრთა შორის მათ მოთხოვნილებაზე მიხედვით. არსებით, ეს იგივე მოთხოვნებია, რომელთაც ეხლანდელი სოციალისტებიც, მაგ.

\*) ბრისსო დეჟარვილის სიტყვებია.

ბებელი, აყენებენ. როგორც ეხლანდელი სოციალისტები, ბაბეფიც ჰპირდება თავის მიმდევართ წარმოების დიდად გაზრდას, თუ მიიღებენ მისს გეგმებს. ამ გეგმების გასახორციელებლად ბაბეფმა დააარსა საიდუმლო საზოგადოება, რომელიც მალე აღმოაჩინა მთავრობამ და ბაბეფი ეშაფოტზე დაიღუპა.

3. მაშინ, როდესაც ბაბეფმა თავის რეფორმებს საფუძვლად დაუდო თანასწორობის იდეა, გრაფმა გენრიხ სენ-სიმონმა (1760 — 1825) ამგვარად მიიჩნია შრომის იდეა. მან პირველად სცადა მეცნიერულად დაესაბუთებინა თანამედროვე სოციალიზმის იდეები და შექმნა სოციალისტური სკოლა. მისგან მომდინარეობს „მეცნიერული სოციალიზმი“ ეხლანდელი აზრით. ლიბერალურმა ეკანომისტებმა ძირითად დებულებად წამოაყენეს შემდეგი: მხოლოდ შრომა არის საფუძველი და წყარო ეკონომიურ ღირებულებათა და მათთან ერთად ეროვნული სიმდიდრისა. ეს ძირითადი დებულება შეითვისა სოციალიზმმა და აქედან გამოდის ხოლმე თანამედროვე ეკონომიურ დამოკიდებულებათა განხილვის დროს. სენ-სიმონმა უკვე გამოიყვანა აქედან შემდეგი მოთხვევა: შრომამ (ინდუსტრიამ განვრცობილი აზრით) უნდა მისცეს საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის; სხვა სიტყვებით: მუშებს უნდა ეჭირათ საზოგადოებაში არა უკანასკნელი ადგილი, როგორც ეხლა, არამედ პირველი. მეცნიერებამ უნდა შექმნას მათთვის შესაფერი რანგი.

სენ-სიმონი იყო მხოლოდ თეორეტიკი. მას არ უცდია თავის შეხედულობათა პრაქტიკაზე განხორციელება. თხუზულებებში არც ერთხელ არ გაულაშქრნია პირდაპირ კერძო საკუთრების წინააღმდეგ. მისმა მოწაფემ ენფანტენმა იმ ძირითად დებულებიდან, რომ შრომა არის ერთადერთი წყარო ღირებულობათა, გამოიყვანა ის დასკვნა, რომ ყოველივე შემოსავალი, რომელსაც ღებულობენ შრომის გარეშე—მწიწის მფლობელთა და კაპიტალისტების შემოსავალი უსამართლო საქმეა და ამიტომ უნდა გაუქმდეს. ამ დებულებას შემდეგ ათასწიანი იმეორებდნენ სოციალისტურს ლიტე-

რატურაში. ბაზარდი, მეორე მოწაფე სენ-სიმონისა კერძო საკუთრების საკითხში უსამართლობის და უთანასწორობის მოსასპობად, თხოულობდა მემკვიდრეობითი კანონის შეცვლას. მემკვიდრეობის იმ უფლების მაგივრად, რომელიც დაფუძნებულია ნათესაობაზე უნდა იყოს სხვა უფლება, დაფუძნებული დამსახურებაზე; უფრო მეტიც, მხოლოდ სახელმწიფო უნდა იყვეს მემკვიდრედ და გაანაწილოს სამკვიდრებელი ღირსთა შორის.

4. თითქმის ერთს დროს სენ-სიმონთან გამოვიდა თავისი სისტემით შარლ ფურიე (1772 — 1837). ფურიე ფიქრობდა, რომ ის, რასაც ეძახიან ღვთის ნებას, არის საზოგადო იდეა, რომელიც აერთებს ქვეყანას და რომელიც ცხადდება ნივთებში, როგორც მისწრმფება. მისწრაფება არის ღვთიური ნების გამოხატვა. ამიტომ მისწაფებანი კი არ უნდა დათრგუნონ, უნდა დააკმაყოფილონ. მისწრაფებათა დაკმაყოფილებათაგან ჩნდება ბენდიერება. მაგრამ მისწრაფებათა დასაკმაყოფილებელი საშუალებათა მიცემა შეუძლიან შრომის ორგანიზაციას. ყოველ კაცს აქვს უფლება შრომის, ე. ი. სახელმწიფო ვალდებულია მისცეს მას ფასიანი სამუშაო, თუ თვითონ ვერ იშოვნა. ფურიემ, ვგონებ, პირველმა გამოაცხადა ეს უფლება შრომისა თანამედროვე აზრით. შრომის ორგანიზაცია იმაში უნდა მდგნმარეობდეს, რომ ქონების პატრონებმა, რომლებიც არა ჰკარგვენ საკუთრების უფლებას, დაუთმონ თავისი ქონება საზოგადო სამუშაოთათვის, ასე რომ თვითეულს შეეძლოს ხელი მოჰკიდოს იმ სამუშაოს, რომლის გაკეთებაც სურს ამ წამში. მაშინ შრომა სასიამოვნო იქნება— ფურიეს შემოაქვს შემდეგი პროექტები. ოთკუთხ ადგილზე, რომელიც ზომით დაახლოვებით ერთი მილია უნდა სცხოვრობდეს ორი ათასი კაცი ერთად (ფალანგა) ერთს ღიდს შენობაში (ფალანსტერიაში), ერთი წარმომადგენლის (უნარხის) უფროსობით. ფალანგები განიყოფებიან სერიებად, სერიები ჯგუფებად. თვითეულს შეუძლიან მუდამ გამოიკვალოს სამუშაო საკანი. ნაყოფი მუშაობისა განაწილდება ასე: <sup>1</sup>/<sub>12</sub> შეადგენს კაპიტალის სარგებელს, <sup>3</sup>/<sub>12</sub> ინიშნება გამომგონის

ტლანტის სასარგებლოდ, დანარჩენი  $\frac{1}{12}$  ერგება მუშას შრომისთვის. აქედან ჩვენ ვხედავთ რომ არც ფურიე, არც სენ-სიმონი არ აუქმებენ კერძო საკუთრებას. მაგრამ ფურიე თითონ ეწინააღმდეგება თავის თავს მით, რომ არა სპობს კერძო საკუთრებას, და მესაკუთრეებს კი ავალებს დაუთმონ თავისი ქონება საზოგადო სასარგებლოდ.

5. რობერტ ოუენმა (1771—1818) დიდი გავლენა იქონია მის თანამედროვე მუშებზე, მითი რომ თავის ფაბრიკაში ახალ ლანარკში პირველი გამოვიდა პრაქტიკულ სოციალისტურ რეფორმატორად და, როგორც თავისი საქველმოქმედო დაწესებულებებით, ისე ძხულებებით, მიექცია საზოგადოების ყურადღება ფაბრიკის მუშების სამწუხარო მდგომარეობას.

მისი ძირითადი დებულება ის იყო, რომ კაცი არის მხოლოდ ქიმიური შეერთება ელემენტებისა, ნაყოფი იმ პირობათა, რომლებშიც სცხოვრობს. ყოველი კაცი შეითვისებს იმ ცნებებს და გრძნობებს, რომლებიც გსურთ, თუ ის ჩააყენებ შესაფერს პირობებში. წესიერი ორგანიზაციით შეიძლება დიდად აიწიოს შრომის ნაყოფიერებამ, ასე რომ ყველას უსათუოდ ეყოფა ნაწარმოები. ოუენი სცდილობდა პრაქტიკულად განეხორციელებინა თავისი აზრი კომუნისტურ ახალშენთა დაარსებით, რომლებშიც ყველაზე პირველი და შესანიშნავი „ახალი ჰარმონია“ დაარსდა 1824 წ. ინდიანაში. ის ათეისტი იყო და უნდოდა დაემყარებინა თავისი კომუნისტური საზოგადოებანი სარწმუნოების გარეშე საფუძველზე, მაგრამ ყველა მისი ცდა ძალიან მალე უბედურად თავდებოდა.

6. ოუენის გავლენით შეადგინა თავისი კომუნისტური პროგრამა ეტიენ კაბემ (1788—1856). მას სურდა საფრანგეთი გარდაეკმნა კომუნისტურ საზოგადოებათაგან შემდგარ რესპუბლიკად. თავისი აზრები მან მოათავსა ცნობილ რომანში: „მოგზაურობა იკარიაში“ (1840), რომელშიც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანციელ მუშებზე.

1848 წ. მან დაარსა პირველად ტებსაში და შემდეგ, როცა ამ ცდამ ვერ იხერია, მარ-

მონებისგან დატოვებულს ქალაქს ნევოში კომუნისტური ახალშენი იკარია. ნელა, მაგრამ მტკიცედ ვითარდებოდა ახალშენი და თავის აყვავების დროს შეიცავდა 500 ახალმოშენს. ააგეს შენობები; პატარა სახლებში სუფლად და მძღორად გამოიყურებოდნენ. იკარლებს უნდა ბეჯითად ემუშაკნათ, მაგრამ არც გართობა და სიამოვნება აკლდათ. წიგნთსაცავი, განზრახ შერჩეული წიგნებით, ყველასთვის ღია იყო; სამუსიკო კრებებს, წარმოდგენებს შეჰქონდათ სხვა და სხვაობა ახალმოშენთა ერთფეროვანს ცხოვრებაში. იკარული პრესის იბეჭდებოდა სხვა და სხვა ენებზე, როგორც საკუთარ მოთხოვნილებათა, ისევე ფულის მოსაგებად და პროპაგანდისტისთვისაც. კაბეს უნდოდა შენახვა ოჯახური, ცხოვრებისა, მაგრამ შვილების აღზრდა კი საზოგადოების საქმე უნდა ყოფილიყო. სკოლას ბეჯითად უნდა აღეზარდნა ბავშვები კომუნისტურ პრინციპებზე. საზოგადო ღვთის მსახურება არ იყო, ყველას როგორც სურდა შეეძლო ისე ერწმუნა. ახალშენმა ძალიან მალე მიადწია თავის მიზანს, მაგრამ, როცა კეთილ მდგომარეობამ შესამჩნევ ხარისხამდე მიადწია, დაიწყო უთანხმოება, რომელიც ბოლოს 3 აგვისტოს 1856 წ. გათავდა კაბეს და მისი ამხანაგების გადენით იკარიიდან. შელტონგამში მისმა ერთგულმა ახალმოშენებმა დააარსეს ახალშენი, რომელიც მიუხედავად საფრანგეთიდან ფულით დახმარებისა, მალე დაღუპა შინაურ უთანხმოებათა გამო. იკარია კი იკაზე გადატანილი კვლად გამოკეთდა და 70 წლებში 70 წევრს შეიცავდა, რომლებიც კმაყოფილებით და მარტივად სცხოვრობდნენ. მაგრამ აქაც უთანხმოებამ იჩინა თავი. ყმაწვილკაცობა იკარულ პრინციპებზე აღზრდილი, იჩენდა ურჩობას, ჩხუბის მოყვარეობას, არა სცემდა პატივს გამოცდილებას და ჰასაკს. 1878 წ. მოხდა სრული გაყოფა ახალს და ძველ თაობათა შუა. პირველები ჯერ უწინდელს ადგილსავე დარჩნენ, მაგრამ 1884 წ. გადასახლდნენ კალიფორნიაში, საცა ახალშენი მალე გაიყო. მეორე ნაწილმა მოხუცმა ახალმოშენებმა მიიღეს აღმოსავლეთ ნაწილი თავის უწინდელი ქონებისა და მოეწყვენ სააქ-

ციონერთა საზოგადოების სახით ნიუ იკარიან კომუნიტის სახელით. მაგრამ ეს საზოგადოებაც თან-და-თან იშლებოდა. 13 მარტს 1895 წ. ცინცინატიში დაბეჭდილი იყო ამბავი კორნინგიდან: „ხანგრძლივი, მაგრამ უნაყოფო ბრძოლის შემდეგ აქედან დასავლეთით სამი მილის სიშორეზე დაარსებული კომუნისტური საზოგადოება, სახელით იკარია კომუნეტი, დაიფუშა. უიდა დაინიშნოს ავეკუნი ქონებაზე. ქონება უნდა გაუნაწილდეს საზოგადოების წევრებს და მათს მემკვიდრეებს“.

ნაიარაყანელი.

(შემდეგი იქნება).



**ილია ჭავჭავაძე, \***

როგორც ლირიკოსი პოეტი.

(27 ღვინობ. 1837—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა, ვინც კარგის საქმით აღნიშნავს თავის ღრმსა, ის იქვე ეწაფება უკვდავების წყაროსს!...“

ილია ჭავჭავაძე.

წმინდა სელაჟნური ნაწარმოების შექმნასთვის პოეტი ასრულებს შემდეგ ზირობას. მას თითონ ცხოვრებაში ნანახი და გამოცდილი აქვს ის, რასაც აღწერს. მას აქვს აგრეთვე დადასტურებული ნიჭი, გახსენების, ცხოველი წარმოდგენისა, რომ ცოცხლად წარმოადგინოს უწინ ნანახი ან გამოცდილი შთაბეჭდილება და ამასთანავე აქვს ეს შთაბეჭდილებანი, ერთი საიტეით, ნიჭი სელაჟნურად წერისა, ნიჭი, რომელიც გადაცემს ხოლმე ადამიანს შთამბეჭდავლობით, შეძვედრებობით და არის ხელოვანი რამდენიმე თაობის მუშაობისა.

უბრალო მომაკვდავი არას დროს არ შეუძლია ისე ცხოვრებად და მდიდრად წარმოადგინოს და აღწეროს წარსული შთაბეჭდილებანი, როგორც სამდიდრე პოეტს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამდენი წარმოდგენა ეს გვაქვს ჩვენ, უბრალო მომაკვდავთ,

რომ შეგვიძლია შევიტყოთ, ცხოვრებად და სამდიდრედ წარმოადგინოთ თუ არა პოეტი იმას, რაც თითო ჩვენ ცხოვრებაში გამოვიცდით. ჩვენ შეგვიძლია შევიტყოთ ისიც, აქვს პოეტს თუ არა პირობა ცხოვრებაში შეცდომანი, ეწინააღმდეგება თუ არა იგი ჩვენს საკუთარს გამოცდილებას. შეგვიძლია დავწვრილებითაც ვუჩვენოთ ყოველი დარსება და ნაკლულაგანება პოეტურა ნაწარმოებისა, თუმცა თვით ჩვენ ვერ შევიძლებდით აკვსრულებისა სელაჟნურად ვერც ერთი მსატკრული სურათი. ჩვენ შეგვიძლია მოვიწონოთ ან დავაწუნოთ ის, რასაც შევსვდებით თვით ნაწარმოებში, შევადაროთ ერთი თხზულება სხვა თხზულებას, წარმოადგინოთ საუკეთესო მაგალითები სხვა და სხვა თხზულებათაგან, მაგრამ თითონ ჩვენ ვი ვერ დავსატყუოთ უადრესი პოეტობის, სელაჟნების მაგალითებს: ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ სელაჟნურა იდეალი მხოლოდ საზოგადოთ, ან ვუჩვენოთ საზოგადო მიმართულება სელაჟნურა ლიტერატურისა.

ილია ჭავჭავაძე ბევრად უფრო მადლა დგას, როგორც ბელეტრისტი, ვიდრე როგორც პოეტი. მისი განთქმული თხზულებანი „მკვარის წიროლება“, „კაცია ადამიანი“, „გლახის ნამბობი“, „გლახის განთავისუფლების პირველ დროების სტენები“, „ოთარანთ ქვარია“ ძვირფასი და მდიდარი, დაუვიწყარი განძია მოელი ქართული ლიტერატურისათვის. ამ თხზულებებში და განსაკუთრებით „ოთარანთ ქვარია“ ილია ჭავჭავაძის ეს მეტად შესანიშნავია, უფრო თავისუფალი, უფრო მდიდარი, უფრო ცხოვრებად გამომხატველი, ახრიც უფრო ძლიან თავისუფლად მიმდინარეობს, გრძნობაც უფრო ძლიერ ცხოველი, მეტად სადისიანო და მსჭეფარ - აღმამფრთხილებელია. დაუმატოთ ამს კიდევ ის გარემოება, რომ „კაცია ადამიანი“ და „გლახის ნამბობი“ თითქმის პირველად მოხვდა ქართული და მონებულს გულისა და ყურს სრულიად ახალი და ძლიერი ხმა გამოფხიზლებისა, რომელიც მოუწოდებდა მას სიმართლასა და ჭეშმარიტებისაკენ. საზოგადო აზრის წინ წაწევა, უძებან განთავისუფლებისათვის ბრძოლა, საზოგადო ლტოლვილების და მისწრაფების დაგუნება ახალსა და ძირთადას გზაზე, ძველი ბატონობური რჩე-ჩვეულების შეცვლა, უძრავი, ერთი წარიღე გაფინულის ცხოვრების მდიდრად მომართობა მოყვანა-

იდეალი, დიდი და მალე იდეალი, რომელიც გამოხატება იღობ ჭკუჭკავის სხეულებულ თხზულებებში. რა თქმა უნდა, ეპიდემიისტური მნიშვნელობა ამ თხზულებათა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ხელაუნური, როგორც ეს ვადაც აღვნიშნეთ ჩვენ ერთს დროს ქართულს ლიტერატურაში (ან „კვლევი“ 1894 წ.) ეს გარემოება ჩვენს თვალში არამც თუ არ ამტკიცებს, არამედ ვადაც უფრო ამდლებს იდეალ ჭკუჭკავის და ხეულებს მას თითქმის შიშველ ადგილზე ახლან ქართულს ლიტერატურაში.

იდეალ ჭკუჭკავი ლექსების წერაში ვერ გამოიხიბნა თვისა ინდივიდუალური ძალა და ორიგინალობა ნაჭისა. იმდენი ნაწერა, რამდენიც აქვს მას ლექსად დაწერილია, სავაო მასალას წარმოადგენს, რომ შეეძინა მას და შეეძინებოდა ხასიათები, გამოეხატა ფსახლოგოურად თვალსახიოთ გულის თქმანა და სულის მისწრაფებანი, წარმოადგინა ჩვენთვის მდგომარეობა დრამატისმისა, ფსახლოგოური ანალოზი რამე საუფროდებო მოვლინებისა, და, ბოლოს, სიყვარულის დახატვანად უნდა გამოიხიბნა ნაჭი. არსად იდეალ ჭკუჭკავის არ გამოიხიბნა ამ შემთხვევაში მისტრობისა და ხელაუნების ხერხების დიდი ცოდნა დი იმისა ლექსები წარმოადგენენ წინადაცე შეთხზულ აზრების და მისწრაფებათა ქადაგებს.

თითონ უნდა იდეალ ჭკუჭკავის ლექსებისა არის ძალის მძიმე, წაღება ქართული, არა თუ საერო, სასაუბრო ენისა (ამ ენათ არას დროს არ უწერია თითქმის იდეალს ლექსები) არამედ მწაგნობრულის ენისა და ამიტომაც იმისა ენა, სიტყვებს მოკლე ბუთა და, მასხადი, უკლად შეუწინარებელი ჩვენს ახლან ლირაში. სანამ იდეალს ერთ ლექსს წაეკითხავეთ, ორ ლექსს წაეკითხვთ გრიგოლ ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა ან ავაკისა. ლექსებისა წერა იდეალს არ ეადვილება. ცხადია, ბევრი შრომა და წაღება მოუხდებოდა ლექსების შეთხზვისათვის.

ლექსების წერა ნამდვილი და ჭკუჭკავი ზოტისათვის ერთს უმდგომარეს მოთხოვნილებას შეადგენს. ჭკუჭკავი ზოტისათვის ლექსი ის ფორმაა, რომელიც უნდა ნათლად გამოცხადდეს უკლად მისი დრამა ხერხი გრძობა და აზრი, გულისა თვისათვად ამომსახრობა, ლექსი ერთად ერთს სმ-

გაღებას, რომ განთავისუფლდეს იგი გულზე მოწალილი სველები: აგან, რომ გულს რამე ხაირად მოეძვას. ამიტომაც, ლექსთა თხზვა ჭკუჭკავი ზოტისათვის არის ერთი უდიდესი საბოლოო და არის ამისთანავე იმისთვის შეტად ადვილი. ჭკუჭკავი ზოტისათვის, რომელიც წერს მხოლოდ მისი, როცა გრძობისა ელში მოაწებან, თითქმის შეუძლებელია ფსახლოგოური შეცდომა. უკლადი რასაც იგი წერს არის განსხვავებული იმისა, რაც აყო ნამდვილად. ჭკუჭკავი ზოტის წინააღმდეგე არ არის სინამდვილისა. ვარდა ამისა იგი, იგივეებს არა არსებით მოკლენებს, ის ქებს მხოლოდ არსებითს; ადამიანს უკეთ განსხვავება ის, რაც უფრო უგრძობია.

როდესაც ადამიანი თვისა ბუნების მოთხოვნილებით არა წერს ლექსებს, მისი იგი მთელ თვის ხერხისა ახმარებს მხოლოდ ლექსების „მეტებსა“, და ადარ რჩება მას არც დრო, არც ეხერხება, რომ ცხოვლად წარმოადგინოს, გაისხნოს გრძობისა. ამ გვარად „საკეთებ“ ლექსებში გრძობა არა ჩანს. არა-ზოტისათვის ძალიან მწელი გარჩევა არსებითი მოკლენება არა-არსებითადან, რადგან ეს გარჩევა ინტინკტიურად, თავისთვად, ხდება ხოლმე ჭკუჭკავი ზოტისა შემოქმედებში. ამიტომაც, არა-ზოტისა ლექსებში ძალიან ხშირად შესგებით ფსახლოგოურ შეცდომებს.

არის ერთი ვაი საშუალება, რომ არა ზოტისათვის თავადან აიცილოს ზოტისათვის ფსახლოგოური შეცდომა: ეს საშუალებაა მუცხიერება. მცრამ, საუბედურად, არა-ზოტისა, რომელიც თვისა თავი ხამდელი და ჭკუჭკავი ზოტისა განიათ, არ ვადრულობენ მუცხიერულ მეთოდს, მხოლოდ ინტინკტს, გრძობის ემოცილებათ და არ იციან, რომ ეს ინტინკტი ხშირად, ძალიან ხშირად ატუეებს იმით.

მცრამ, რაც უნდა ათის მუცხიერებას მამართლს ადამიანმა, თუ მუცხიერება ნაჭი დმერთის არ მოუძღვლებათ იმისთვის, ზოტისა ვერ განდება: მუცხიერებას ხომალ-უძს გვარძობისათვის რამე თვით იმ ურთუკარი გრძობისა ვარდა, რომელსაც შეიძლება უწოდოთ მუცხიერული გრძობა, და რომლის მსგავსი გრძობაც ადგეკტივის ხოლმე მისი, როდესაც უზოტობით რსამე მუცხიერებას არ შეუძლია აგრეთვე გაგახსენოს ვარემე მოკლენება დაწერილებით ისე, როგორც აგანი მისდგენს ერთმანეთს უძის და სიყვარში: ამის იმდენი მუცხიერული შრომა დაჭირდება, რომელსაც ვერ შეძლებდა ვერავინ, თუმცა თითქუდა მოკლენება, გამოყოფილი ზოტისათვის თხზულებისათვის, ადვილი განახრევა მუცხიერისათვის. ჩვენ შეგათვალა შეიძ-

ყოთ, ეწინააღმდეგება თუ არა თათუელი მოკლებსა ჰოეტურ თსხულებსა სინამდვილეს, ჰემ-მარტუბას. მაგრამ შექმნა ჰოეტურ თსხულებსა ჯა არ შეკავდება მერხიურების საშუალებით. ჰოეტურა თსხულება არის ნაყოფი სახერმდელი გამოცდილება, არის ის, რაც ნათლად და ცხადად თავის-თავად გახსენდება ჰოეტს.

ზომელი.



ორი სამწუხარო ამბავი.

„Нов. Кав.“, „Н. Р.“ სიტყვით გადმოგვცემს შემდეგ სამწუხარო ამბავს ყოვლად სამღვდლო კირიონზე. „ხარკოვიდან მოსკოვში გამოიარა სინოდის დანიშნულებისამებრ სინაკსარის უდაბნოში მიმავალმა ყოფილმა ეპისკოპოსმა კირიონმა. მოსკოვში მოხუცი ეპისკოპოსი იმ ზომამდე ავად შეიქმნა, რომ იძულებული გახდა გოლიციის საავადმყოფოში დაწოლილიყო და აი 17 იანვარს საავადმყოფოში შეიჭრა პოლიცია და მოითხოვა ეჩვენებიათ ავადმყოფი. ექიმმა ავადმყოფის ნახვის ნება არ მისცა პოლიციას. მეორე დღეს დილით განმეორებით მოვიდა პოლიციის ბოქაული, აიძულა ექიმი ავადმყოფი ეჩვენებია და მოთხოვა უკანასკნელს, დაუყონებლივ ტანთ ჩაცვა. ეპისკოპოსმა მორჩილებით შეასრულა ბოქაულის ბრძანება. ამის შემდეგ იგი სრულიად ავადმყოფი წაყვანილ იქმნა რიაზანის ვოგზალზე თავის უნებურ მოგზაურობის გასაგრძელებლად სინაკსარის უდაბნოსაკენ. ამბობენ, რომ ეპისკოპოსი კირიონი, ტომით ქართველი, განდევნილ იქმნა ხარკოვიდან მიტომ, რომ აქედგან მას შეეძლო დამოკიდებულება ექონებია სამშობლოსთან, სადაც იგი იყო უკიდურესი დამცველი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობისა.“ („Нов. Закав.“ № 20).

იგივე გაზეთი (№ 19) შემდეგი სიტყვებით აგვიწერს პატივცემულ არქიმანდრიტ ამბროსის გაცხადებას. „საექვო სტილის ახალ მხატვრობით მორთული დარჩიის ამადლების მონასტრის ძველი ქართული კედლები საიდუმლოდ კვნესოდენ ქალაქის ქართველ სამღვდლოებასთან ერთად. ხოლო ცივი თაღები მართლა ცრემლს ღვრიდნენ, რადგან მის ქვეშ შეგროვილიყო მრავალრიცხოვანი საზოგადოება, მოსული აქ თავის საყვარელ არქიმანდრიტ ამბროსის უკანასკნელ „მშვიდობით“-ის სათქმე-

ლად. 22 იანვარს ექვისი ნახევარზე დაიწყო სამგზავრო პარაკლისი მოხდენილ არქიმანდრიტისა. რომელიც ხვედრის ნებით იძულებული შეიქნა უცხოობაში შეამოკლოს თავის ცხოვრების დღენი რიაზანის ეპარქიის სამების მონასტრის მღვიმთა შორის, სამღვთო მსახურების აღსრულების უფლება-წართმეული. „რასთვის, რის გულისთვის, როდემდის?“ ეს საკითხი ყველას ენაზე ადგა და მამაცი, ქრისტიანულ-მშვიდი და ნათელი სახეც სამწუხარო კრების მიზეზისა განცვიფრებული იყო... ხვედრიც უცვლელი დარჩა ბოლომდის—და არქიმანდრიტ ამბროსის დასჭირდა, ნუგეში ეცა თავის მტირალ პატივისცემლებისათვის გრძობიერი სიტყვით, რომელშიდაც გამოსთქვა იმედი, რომ ეხლანდელი მისი მდგომარეობა გაუგებრობის ბრალია და რომ ძვირფასი ხატი ქართველ განმანათლებელის ნინასი, რომელიც მას მიართევს მისმა პატივისცემლებმა ნიშნად გულითადი სიყვარულისა, ანუგეშებს მას მიუცილებელ მარტოობასა, მოწყინებასა და მწუხარებაში საყვარელ სამშობლოს მოცილების გამო. მონასტრიდან არქიმანდრიტი გაემგზავრა პირდაპირ სადგურისაკენ, პატივისცემელნი თავჩალუნული დაბრუნდნენ შინ ისე, ვითომ ვინმე საყვარელი არსება დაემარხოსო.“  
განმარტება მეტია....

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მგაღლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

გამოვიდა და ისუილება ავტორთან „შინაური საქმეები“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ 3-სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი 60 კ., ვინც 10 ცალზე მეტს ვაიწერს 10 პროც. დავთმობა.

იქვე ისუილება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი ორი შაური.